ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 36

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ბათუმი

01 მარტი 2021 წელი

ერთი მხრივ, **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ჯემალ სურმანიძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „აბსოლუტი-2010"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ოლღა შილაკაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია უალკოჰოლო სასმელების, ხილის წვენების, სხვადასხვა სახის ტკბილეულის და საკონდიტრო ნაწარმის მიწოდება, რაც დაკავშირებულია სტუმრების მიღება - გამასპინძლებასთან. (CPV-15300000; 15321000; 15800000; 15821200; 15842000; 15860000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, მათ შორის, CPV-15300000 – 200 ლარი, ხოლო CPV-15800000 – 300 ლარი.

2.2. საქონლის ერთეულის ღირებულება განისაზღვრება საქონლის მიწოდებისას არსებული საბაზრო ფასებით მიმწოდებლის მაღაზიაში;

2.3.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიწოდების ვადა და ადგილი საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მოწოდება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივლისის ჩათვლით;

3.2. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები;

3.3. საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მოწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ა/წ სასაქონლო ზედნადების საფუძველზე;

3.4 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები;

3.5. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, მიმწოდებლის მაღაზია.

3.6. საქონლის მიწოდება მოხდება ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათ-ვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის თანაშემწე თამარ ჭანტურია.

6. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ვარგისიანი და ხარისხიანი.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით;

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

12. სხვა პირობები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.2

12.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგ-ზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12.4. მხარეები ვალდებული არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად დამდაგარი ზიანი.

12.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

12.6. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

აჭარის არ განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. N4
ს/კ 245427667

მინისტრის პირველი მოადგილე
ჯემალ სურმანიძე

მიმწოდებელი:

შპს „აბსოლუტი-2010"

საქართველო, ბათუმი
ჯავახიშვილის ქ. N 5 ა
ს/კ 445 387 689
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
მფო BAGAGE
ა/ა GE48 BG00 0000 0325 5593 00

დირექტორი
ოლღა შილაკაძე